საქართველოს მთავრობის
განკარგულება

№938 2020 წლის 9 ივნისი ქ. თბილისი

„საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ცენტრალურ აპარატში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რიცხოვნობის განსაზღვრის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 16 იანვრის №82 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ცენტრალურ აპარატში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რიცხოვნობის განსაზღვრის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 16 იანვრის №82 განკარგულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და განკარგულების პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ა[1]“ ქვეპუნქტი:

„ა[1]) **„COVID-19-ზე რეაგირების საგანგებო ღონისძიებების მართვის (WB)“** (პროგრამული კოდი: 27 03 03 11 04) ქვეპროგრამის (მსოფლიო ბანკის მიერ დაფინანსებული პროექტი) ფარგლებში, დამხმარე ამოცანების შესრულების მიზნით, შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა (პროექტის განმახორციელებელი ჯგუფი (PIU)) რიცხოვნობა განსაზღვროს არა უმეტეს 6 ერთეულით;“.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი გახარია**